

94 | 2
1900



მათრასი

და სალაშქრო

№ 26

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



რა გასუთი წაბიღლწოს, (არც თუ ძველად საქებარი,) მან სხვა ახმოს, გამოძებნოს, ისევე ძველი ძეგობარი. მას მიენდოს ვეელაფერში, მისი ენით მოუბარი, და მოფინოს მთელ ქვეყანას, რომ არ ითქმის, ე, იძვარი. მისამჯა.

უშაპის ინტერვიუ.

(თფაღისის ქალაქის გამგეობაში)

კარგა ხანია თფილისის გამგეობისკენ მეჭირა უფალი. მინდოდა მკირე ნით მიინც შევსულიყავ, სქაური ავი და კარგი გამეგო, მაგრამ დღემდე ვერ მიგებერხე ამ სურვილის სისრულეში მოყვანა.

— ალექსანდრე ივანეს-ძე აქა ბრძანდება? ვკი-ზე დარჩოს.

- არ ვახლოვთ, ლექციაზე ვეახლათ.
- ალექსანდრე მიხაილოვიჩი?
- აქა ბრძანდება.

მე ქული მოვიხადე, ბაბანაკი მოვიძვრე, სატ-ლაპუნე ფერხთავან წაივიძარცვე და მოკრძალებით შევედი.

— მობრძანდით ყმაწვილო, რა გნებავთ? ისეთი ალერსიანი კილოთი შეგეკითხა მისპინძელი, რომ გულმოსულიობის ნიშან წყალიც გამიქრა.

— გეხელოთ ისე, . . სხვათა შორის, . . ზო, აი ტრამვის შესახებ. . .

დმერთა ააშენოს ახალი ღირეკტორი, სწორეთ გამომიყენა განსადგლიდან.

— რა გნებათ? უფასო ბილეთი?

— რასა ბრძანებთ, მე ისე, ბილეთის ფასების მომატების შესახებ მსურდა ორიოდ სიტყვა მომეხსენებია.

— როგორ თუ ფასების მომატებაზე? ჩვენ უფასოთ დავდივართ? ეს არ არის მართალი. . .

— არა ბნო, მე თქვენზე არ მოვასხენებთ, თქვენ ჯვარი გწერიათ, მე ისე უბრალო ხალხზე ვამბობ.

— აჰააა!

— დიახ. მას შემდეგ, რაც ტრამვის ღირეკტორიამ მუშებს შეუბრუნა გვრეთ წოდებული კეხი და დაიმორჩილა, მას შემდეგ, რაც ქალაქის გამგეობის წარმომადგენლებმა და პრესის „მუშაებმა“ ამის შესახებ ტრამვის პარკში წადიმი გადაიხადეს, მას შემდეგ რაც ქალაქის გამგეობამ ტრამვის ახალ ღირეკტორის ქების დიპლომი უბოძა. . .

— რას ამბობთ ყმაწვილო, რას ამბობთ! როდის იყო, რომ უპრავამ ტრამვის ღირეკტორის ქების ფურცელი უბოძა? ეს სრული სიცრუეა ანუ ეს მართალი არ არის. უპრავას მისთვის არაფერიც არ უბოძებია.

— უკაცრავად, მე საწყენათ არ მითქვამს. არ უბოძებია, მაგრამ ბრიუსელში კი ვაუჯუნა.

— ჰოოო, ეგ სულ სხვა კითხვაა და ამასიანავე, საქირთა დავუმატოთ, რომ ეს ქების ფურცელი ღირეკტორის თხოვნისამებრ მივეციოთ და არა მის უკითხვათ.

— ეს სულერთია ბნო ჩემო. საქმე იმაშია, რომ რაკი ტრამვის აღმშენებელიამ მუშები მოარჯული და ქალაქის გამგეობა მოაღბო, ახლა ქალაქის მცხოვრებთ დავჯახა.

— როგორ? სად დავჯახა? ბევრი გაქცილია? ძლიერ შეწუხებული კილოთი შეგეკითხა ალექსანდრ მინალოვიჩი.

— არა ბნო, ვაგონი კი არ დასჯახებია, არამედ თვით ღირეკტორი. ე. ი. ჩვენებურათ რომ ესთქვათ ბილეთების ფასი ასწია.

— როგორ თუ ასწია?

— აი როგორ: ვთქვათ თქვენ მუშტიადში შეიარეთ სუფთა პერის ჩასაყლაბავათ და ბინათ კი წყნეთის ბოლოზე „ვაკეზე“ ცხოვრობთ, სწორედ იქ სადაც მრავალი მგზავრი იხრჩეება უსომო ტალახში. სერინობის შემდეგ, რაკი ფეხით ამდენი გზის გავლა გეზარებათ, საკუთარი ეტლი არა გყავთ

და უფასო ბილეთიც არა გაქვთ, ტრამვის ვაგონზე ჯდებით. აძლევ კონდუქტორს მარტს და ეუბნები მოგზიბოს წყნეთის ბილეთი, როგორც ეს ამ ორი დღის წინათ იყო.

— აიღებს და მოგიხვეს. ახლა მუშები ერთობ ზრდილობიანთ იქცევიან.

— თქვენც არ მომიყენებ, მწერიანი ბილეთი, მხოლოდ ზემელოს ავთიაქამდე მიგიყენას და შემდეგ ახალი უნდა იყიდოთ“ გეუბნება ის. შენ გიკვირს ეს ახალი წესი სანაქებო ღირეკტორისა და ეკითხები კონდუქტორს: „რატომ, ძობილო, გუშინ აკი იძლეოდენ?“, რა ვქნათ ბნო, დღეს ასე გამოგვიცხადეს: ერთი ბილეთით, მხოლოდ ერთხელ შეიძლება გადაჯდომოთ.“

— ჰმ, მიკვირს სწორეთ!

— გასაკვირი აქ იმდენი არაფერია. ხომ გავიგონიათ ქართული ანდაზა: „სთუფელი ვნახე უძალდო, შიგ ვივიარე უჯობო“. ღირეკტორის რა ენაღვლება. ვინ დაუშლის წყნეთიდან მუშტიადამდე ხუთ-ექვსჯერ გადასხ-გადმოსხის ხალხი და ამგვართ მწერიანი აგროვოს?

— როგორ თუ ვინ დაუშლის?

— დიახ ვინ დაუშლის? ქალაქის გამგეობა, მის კაბინეტში ქვიფობს, თავზე ხელს უსვამს და ქების ფურცლებს აძლევს, ხოლო პოლიცია თავს სრულიადც არა გრძნობს დაწავრულათ, ვინადან უფასოთ ახტება ვაგონის წინა ბაქანაზე და დაჯირითობს. ერთი სიტყვით ობლები ვართ, ბატონო ალექსანდრე, ობლები!

— მე სწორეთ მაკვირვებს ყოველივე ეს! ღირეკტორი ძლიერ კარგი კაცია და ვსთხოვთ ხალხის შევიწროვებს თავი დაანებოს. ან მე, ან ალექსანდრ ივანჩი ან ნიკოლა ეგორჩი ან ყველანი ერთად ვნახეთ და ვსთხოვთ, ძლიერ გულით შევეხვეწებით ხალხი არ შევიწუხოს.

— სთხოვეთ თქვენი ჰირიით, ძლიერ სთხოვეთ. მუხლებზე დაუჩოქეთ, თორემ დავიღუპეთ. კეთილი კაცი კია ის ღირეკტორი, მაგრამ ჩვენ იმდენათ არ ვენადლეებით.

— სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

— გამდლობთ! მაქვს რამე რამეები, მაგრამ ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. მშვიდობით.

— მშვიდობით და იმედინათ ბრძანდებოდეთ ჩვენ რაც შეგვიძლია ვსთხოვთ, ხელზედაც ვემთხვევით! მშვიდობით.

იმედიც კარგი საქონელია!

ეშმაკი.

ს ა შ ე მ ო დ ე გ ო მ ო .

ქარმა დაჰბერა, შემოდგომისამ, ხეთა ფოთლები ააშრილა, ბევრიც მოსწყვიტა და თან წაიღო ჰაერში გიჟურ დააზრიალა;

ქობის ბულული აწეწ დაწეწა, იქით ჩაღის ზეინს ქუდი მოჰკლავა. ცამ, ამის მოწმემ, წარბი შეიკრა და მხესაც სახე ჩამოეღრია.

ქარი კი მიჰქრის... კენესის, ქვითინებს, წყრომით აწყდება ქობისა კარებს: ხან შემოსძახებს. „ვთი ვეოა“, ხან იქით, შორს... შორს ხმას მიაკვდარებს...

ჩუ იქით, საღლაც შარა გზახვდა საწყლად ურემმა დაიკრიალა, თითქოს იგრძნო მან, რომ აქ ჩემს გულში სევედის იარა გადაიშალა...

...ქვეყნის საბრუნავს გასჭირვებია დამძიმებულა, ვეღარ მოძრაობს: ვინც „არა რაა“, ის ყველაფერობს, ვინც — „ყველაფერი“ ის არაარაობს! ძალთა მდინარე კინვად ქცეულა, გრძნობათა ზღვა კი ამომშრალა, ცა დაღვრემილა, მე პირ გამჟთაილა... განა, არ ვიცი, რისი ბრალა!


და... მოჰქრის ქარი, შემოდგომისა, ზუზუნ-გუგუნით მთაბარს აწყდება: ხან ნაღირივით დაღირიალეს, ხან ხმას ჩაიწყვეტს და... თითქოს კვდება! მტრის ჯარბეივით ამხედრებული ცისკენ მიიწევეს ღრუბელთა გროვა... ზევიდან წყრომა, დაბლა ქვითინი, ირგვლივ ღუმლი... კენესა და გლოვა!!...

რა ეშველება ქვეყნის საბრუნავს? დამძიმებულა, ვეღარ მოძრაობს: ვინც „არაარა“ ის ყველაფერობს, ვინც — „ყველაფერი“, ის — არაარაობს!...

F. ზომლეთელა.

დ ე მ ე შ ე მ ო

(გურის საგენტო).



აზურგეთა. აღმოაჩინეს „საშრბარი“ შეტყუებული. ჯერ-ჯერობით დაატყვევეს მეთაურები. ძველი პოლიციელი ექ. დლოიძე და მოხუცი ვაჰარი ელიაძე. — დაბატონებულია სხვა მონაწილენიც, რიცხვით 3-ე ვაჰარი, სხვებს ეძებენ. მოველით სენსაციურ ამბის გამომღლებენ.

აქადახე. უზმონსოთ დარჩენილმა ქალაქის თავმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის ბოქაულის წინაშე. თხოულობს ნება დართონ საბჭოს სხდომები ციხეში გამართოს.

ღაბსურა გაუგებრატორის მოსვლის დროს დამუნჯებულებმა ცხლა ამოიღვეს ენა ჯერჯერობით არავინ გაუგზავნიათ საიქიოს წინაპართა ამბის გასაგებათ. მისწავლებელ გოგონაძეს ნიკოკის მოურაობას ძღვევენ.

შემაქმედა. არ გვეყავს შთავგობის მამასახლისი და აღარც ბიკნიკები, იმართება. „ბარიშნები და ინტელიგენტები“ „სკუნჩათ“ არიან.

ჩოხსტაურა. ბოქაული და მისი თანაშემწე, რაკი „სტენებს ვერ შესწვდენ უნაგირებს მისდგენ სამტერვეათა.


სურება დაჯარგეთ ვაზეთების აღრესები არ ვიცით საიდან რა გამოიწერება.

ღანჩხუთა. მიქიაშვილი ადესიდან იწერება: მარტო მე რათა მღებთ ბრალს საზოგადოების ფულის შეტემაში, როცა ზოგიერთი ლანჩხუთელი ქალეზიკ ენერგულ დახმარებას მიწვევენო.

აკეთა. „სამეიხველოს გამგეობა“ სთხოვს ყველა გულშემბატკირებს: შემოსწირონ ძველი, ნახმარი კარტი, (ბანქო) ნარდის კამათლები და სხვა ასეთი ძვირფასი ნივთები

ხადისთავი. დღეს ხიდისთაველ „მელიწავე“ რაინდებს, (რომელთა სახელებს ენერგულათ ემალავთ), არავინ გაუღახავთ. მაგრამ თუ კიდევ დაითვრენ და ვისმე ხელი ახლეს, მაშინ კი ჩვენ გიცით... უთუოდ იმათ სახელებს გამოეპყვეყნებო.

ავგენტი ლიკლიაძე.



ს უ რ ა თ ი .

ტურფა დილა... შუე დაკისკესებს...
აი ჩაკოცნა მან შოა და ბარი...

მიესალამა მინდორს, ტყე და ველს
კდემა მოსილი პორამოდომარი.

ახადა მიწის ნისლის საბანი
კოტა ხნის უკან შავთ ნაღები,
ეხლა გულს იკრავს ვით სატრფო სატრფოს
თვით სიყვარულის განალაღები.

მიწაც ბანს აძლევს, შეხარის ტურფას,
რუ ალუკლუქდა, შოამ გაიხარა,
მდღელომ, ნატირმა უკუნეთ ბნელში,
თვალთაგან კრემლი გადაიყარა..

სიხარულშია მიდამო, ზეცა
ოქროს სხივებში ანაკურები...
ილოს ოჯახიც შეგებას განიცდის
მკირე იმედის სხივ ნაკურები
ყველა მზის სხივზე გამოფენილა
დიდი, პატარა შშობლებთან ერთად
და შეხარიან რაღაცას გოლით
დასახულს მხსნელათ, მიჩნეულს ღმერთად..

ეს — შალი არის — სახლში ნაქსოვი,
მიზეზი მათი სიხარულისა ..
იმედის წყარო, შეგება ამ ხანათ,
ფრთების შემსხმელი საწყალ გულისა ..
გამოსაშრობათ მზეზე გაეციდეს
„მოთელვის“ შემდეგ განარტყავი ..
ხედა ბაზრობაა, შალს გაყიდიან
და ბედნიერთათ უგრძმენათ თავი.

„თუ სამ მანეთად გაეციდე ჩოხა, —
ამბობს ბარბალე - კარგი იქნება...
სიმილს ვეყიდით და საპურანგეთ
ბავშვებისთვისაც ჩამოგვიჩრება“.

— შე... მე მოყიდე დღეიკო კაბა ..
— მე კი პეპია სულ დამეფრიწა,
ეს კაბას ჩივა, მე ტიტველი ვარ,
რაფა იცინი? გაგისკდა მიწა!...

ასე ცილობენ ბავშვები მარდათ:
ზოგი პერანგს თხოვს, ზოგი კაბასა,
ზოგს კიდვე ქული, წული არა აქვს...
არც კი სჩივიან ტიტველ მამასა,
რომელსაც ჩოხა შემოკონკია
და შარვალიდან მოუჩანს ხორცი,
ცოლიც ასე ყავს ჩამოგლეჯილი ..
სიღარიბეა იქ ვასაოცი...

„კარგი შეიღებო, ყველა გიყიდით
სიმილს შემდეგ რაც გადაგვჩრება,
მავ ვისთვის გვიჩრდა, თუ არა თქვენთვის
თუ რამ გვექნება, თუ რამ დაგვჩრება“.

მამის იმედმა წაახალისა
ათამაშა პაწაწკინები, **სიხარული**
სიხარულისგან, ნახევარი ტიტველს,
შეგება მიეცათ, აესხათ ფრთები...

და აელურტულდენ გახარებულნი
დილის სხივებზე შშობლებთან ერთად...
თან შეხარიან შალს გამოკიდულს
იმედის წყაროს, დასახულს ღმერთად...

გ. მალაქიაშვილი.



ორი ემძაკი.

ზანგ. ერთი მითხარი თუ ძა ხარ, ვი პარუს-
კი ზნაიშ?

ქუარე. ნიჩაუ ნე ზნაიშ, ბრატი!

ზანგ. არა, მართლა არ იცი?

ქუარე. აბა საიდან უნდა ვიკოდე, მე შენ გი-
თხრა უნივერსკეთი გამიბავებია, ან ღრანიცაში ყვო-
ფილვარ.

ზანგ. ჰო და მართალი ყოფილა .. რას ერჩი..

ქუარე. რა ყოფილა მართალი, რას ამბობ?

ზანგ. რა და „ნაშ“ კრასი“ მეკრესე.

ქუარე. რალომ? რა სოქვა?

ზანგ. როგორ თუ რა სოქვა, შანშიაშვილის
შესახებ სწერს და თურმე ნუ იტყვით ახლავარდა
პოეტის დანაშაული ეს „მომაველის“ დანაშაული
ყოფილა.

ქუარე. ეს როგორ, კაცი?

ზანგ. როგორ და ისე, რომ ნ. დ.-ს წერილი-


(ბოლო დროს გამოგვადგება შარადის მოსაქარათა.)

შემდეგ კი, ნაცვალ-სახელი გვექირდება უსიკვდილოთა, (ის თქვენი საკუთარია, მას ვერვინ შეგეცილოთა,) მაგრამ ასო ხმოვანი მეტ ბარგით დასთრევეს ბოლოსა... (ზხამს მოლაღატე შარადის, სიკვდილომა გაიყოლოსა) და აი როგორ უეცარ მიღვა შარადა კიდესა ! (ვინ იცის იქნებ ზოგ-ზოგმა, სიმღერაც ამოაკიდესა!) ეს მით უმეტეს, რომ ახლა იარაღს ვეძებთ ხელათა, რომელსაც ბაიათები უხდებდა დასაკერელათა, მაგრამ გახსოვდეთ, სიმები არ მოხსნათ, ჰქონდეს მთელათა, ერთი მათგანიც რომ ავლდეს, გახდება სადარდელათა.

ამ გვართ, კარზე მოგვიდგა სტუმარი, არა საქები: გულ-ცივი, სიტყვა-მუსხხავი, თეთრი სუღარის დამგები, ღარიბის რისხვა, ქვრივ-ობრის მეტ ქირ-ვარამში ჩამგლები, მძარცველი ტყეთა სიმწვანის, ყვაილთა გამჩანაგები, ჩანჩქერის ფერხთა ბორკილი. მგალობელ სირთა გამგლები მხოლოდ სამი თვის ბატონი, შემდეგ კი საქმის წამგები.

თუ აქაც, ჩემო მკითხველო, გისუსტა სიტყვის ძალამა... ვეღარ გიშველის, ძიობილო ვერც უკვდავების მალამო.

კოლო.



შავი აჩრდილი.

დამკა. ვზივარ მარტო-მარტო შე ჩემს ოთახში. მწარე ფიქრები მოუსვენრად ირევა თავში! უზომო ტანჯვით ცატუხილი გული დონდება სული მიშეფთავს უიშეფთ, თვალთ, მიბნელებს. გარშემო ურუა არე-მარე, სიშურა მთელი, ბანს მძღვეს მხოლოდ ერთად ერთი მწარე ნაღველი! მიუხერებევიარ განიხიბელებულ, მღუმარე სარკმელს და გულის ძვერით, მიუსვენრად განთიადს ვედი. მაგრამ ჩუ, ატერ!.. ებ ვინ არი ჩუმთ, ქურდულათ ოთახის კართან აღჭაჭვიით რომ ატუხულა? ვინ მოიწვია, რა უნდოდა ნეტა მას ჩემთან მგზავრთა თუ ვინ? ამ დამეში სიდან მოსულა?... ოჰ მიგხედი, მიგხედი!.. ის არის ის, შავი აჩრდილი, ბავშობიდანვე ჩემი მტერი, შურით ავსვილი... განგებ მოსულა, თვალს დაგვინებს ჩემს მოქმედებას, რომ არ ვეყურნო მის უსაზღვრო სურვილს და ნებას. როგორც აქამდე დღესაც იმას უჭირავს ხელში ჩემი სადავე, სიციფხლე და თვით ჩემი ბედი, და რომ გაგებელი, მოვიყურნო თავიუფლებას მიესვე ჩამქოლავს საზაზღარი, ფადილი და ებედი. და ამაღამაც საღარაჯოთ მოვიდა იგი ჩანგს დაავიარდა, სუფაქურთ რეკულს შეეხ... ოჰ განთიადლო, განთიადლო გამონინდ ბარემ დროა განხვეწო კე აჩრდილი, ღოადინა შეეო.

ნ. ჩხიკვაძე.



გური ა

ეპისტოლე ეშპისხდში.

ბიძია ეშპაკო!

ბერი სასაცილო აშპავი გამოგონია, ბერი რომ სმენია ჩემს ყურს სასიამოვნო ფრიად, ბერი მინახეს საეშპაკო,

„მაგრამ ფეციავარ ჯოჯოხეთის სატანით ბელზებელითა ფეციავარ კონსტიტუციის ჯალათით, სახიზბელითა.

ფეციავარ ეკვლესიასა სავესტა მლოცველებითა მაჰმადიანი სტრაყების მორეკლს მათრახებითა.

ფეიცავარ მღვდელსა, ხუცესსა,
სახარება და ჯვარიანა,
ფეიცავარ სტომამს იმათსა
გამამდარ არის ღრამითა.

ფეიცავარ ყოველ საფიცარს;
არ გავჭრელო ენითა;
ჯერ არ მენახოს ასეთი,
რაც რომ მოგიფხრა ქვეითა.

ასე და ამა პირსა ზედა ისინთა, ვისაც ასხენ
ყურნი სმენათ. ქალაქ მომწვარეთში ცხოვრებს კა-
ცი ვინმე მიმდევარი (და ვერ მიმწევი) ვაჭრობისა
ანტონ გვარი მისი ელიაძე. ამა ანტონსა ყვანდა
შვილი ერთი ძე ქაქუჩი. ქაქუჩი ესე ყმაწვილობითვე
იყო მამის ხელობისადმი მიდრეკილი, ამისათვის
დაუტრევა სახლი და კარი თვისი. დაუტრევა მშობელ-
ნი თვისნი და წარვიდა უცხოსა ადგილსა ცდათ
ბცდისა მას მერმეთ განვლო ოთხმა წელმა და არა
იყო ცნობა ქაქუჩისა თუ სად არის იგი. მწუ-
ხარე მამა ანტონი ვახუთით აუწყებს ქვეყანას შვი-
ლის დაკარგვას და სთხოვს ყველას ვინც რა იცის
აქნობოს მამას. მაგრამ ამათ სულმს ყველანი. ეს
და ჯერ არს მოვიხსენიოთ რომელ ანტონსა ყვანდა
და ძე მეორე ვახუტია, რომელსაც უწევდა სალდა-
თობა მაგრამ გული მისი არ იყო მიდრეკილი სალ-
დათობისადმი და არცა მამასა სურდა განეშორებინა
იგი. ამისათვის ანტონმა ინახულა ძველი მსახუ-
რი პოლიციისა ფრიად ერთგული მთავრობისა,
და მსახურებულ ორდენებითა და პენსიითა გამოც-
დილი, გამოქაზარებული ,,დესტიტუტენი გუბერ-
სკი სეკრეტარი“ ექვთიმე დლოძე. ანტონმა აუწყა
გაქვირება თვისი.

ჩინოვნიკო და პატივცემული ექვთიმე, მრ-
ვლისა გამაპენსიონერებულთა, მრავლისა სალდათო-
ბიდან გადამტრენელი მომხედე მეცა და მეც...

ექვთიმე და ანტონ თათბირს ყოფენ ურ-
თიერთ არს. ამისა შემდგომათ შოდის ანტონი ბა-
ზარში თან აქვს ქაღალდი ,,ვახუტუჩი ქვისა“ და
სთხოვს ბაზრის მცხოვრებთ პატივცემულ ხმოსნებს
და ვაჭრებს მოუწერონ ხელი რომ მისი შვილი ქა-
ქუჩი ოთხი წელიწადი არ უნახავს მათ თვალმებს.
დაფიქრდენ ძრთელ ვაჭრები, ეძნელებათ ხელის
მოწერა, რადან ეს იყო სრული სიმაართე და არ
იყვნენ ჩვეულები, მაგრამ სამოცნე მეტმა მაინც მოა-
წერა ხელი. ანტონმა ქაღალდი წარადგინა სადაცა
ჯერ იყო... და ამა გაიხარეთ; დაწვა უწყილი და
შვა აქლემი... პატიოსანი ვაჭარნი კეთილ მსახური
პოლიციის „Старый усердный брѣжжакъ“-ი და
შვილის მაძებარი მამა შეაბრძანეს ანტონ მაქსიმესე

ლონტონს სახლში და აქეთ იქ ,,უხნველი პურის
ქაბა“. უმეტესობა უნდა დაჩრდნენ სახეშიყო ხა-
რჯზე თითო თვე ანტონ კი სამნ თვე. ამ რგვით პუ-
რა ძვირი ღონტონს სახლი კიდევ გაივსო მემამბოხე-
ებით. ამბობენ რომ მათ ჰქონდათ კრება ნება დაუ-
რთველი. ზოგი ვაჭარი ,,დედუერნობით“ არიან სა-
სტუმროში, რომ ვაჭრობა მთელათ არ დაეცეს; ჟერ-
თი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

ნათ?

სიმღერა მემღვაურისა

მაღალს კანდელზე ფირუზი ცისა,
როს ვარსკვლავები აფრთხიან
და მათნი თვალნი, მოკამკამენი,
ცის ლურჯ მინდორზე იფანტებიან.
მე იმათ შორის გარკვეით ვაჩნევ
ერთსა მნათობსა ბედის ჩემისას,
აღტაცებული შევსცქერი და თან
თვალს ვერ ვაშორებ ციმციმსა მისას.
თან ტკიბლს ოცნებას წარვეტანები...
ჩემს გარეშეშო ზღვა ოდნავ ღელავს,
ნავი კი მიჰქრის, ზგასა შიკვლავს
და გაბედულათ ზღვის ტალღებს თელავს..
მიწვევს ოცნება შორის, იქით... იქით...
შორე გაისმის ჩემი სიმღერა,
რომელშიც ერთად ჩაქსოვილია
ჩემი ფიქრები და გულის ძგერა:
„არის ღამე,
ბნელი ღამე,
გარემოა სულ ჩანთქმული —
მეზღვარის
მოგზაურის
არ შედრკება მაინც გული!...
მიჰქრის ნავი,
მას ნიავი
ტკიბლ ნანინას ეუბნება,
წყება ტალღათ,
მჩქეფთა ღალათ,
ნავის გვერდთ ელაჟუნება...
რომც დაჰქროლოს,
ააყროლოს
ქარმა ზღვა, ეგ უპირული,—
მეზღვარის
მოგზაურის
არ შედრკება მაინც გული!...
ახავთებულს,
ამავთებულს
ზეირთებს ბრძოლას გაუმართავს:—
გაკავებდა! —
ვისაც სწვდება,

დანარცხავს, გულს გაუფაორავს. .
 არის ღამე,
 ბნელი ღამე,
 გარემოა სულ ჩანთქმული, —
 მეზღეაურის,
 მოგზაურის
 არ შედრეკება შინც გული!..“

...ქარმა დაჰქოლო... ცა მოიქეშა...
 ბედის ვარსკლავი კი შინც ბრწინავს!
 ზღვა აბობოქრდა, აჯოჯოხებდა...
 ჩემი ნავი კი შინც მიფრინავს!..
 გასაღდი გულთ! გაკავდიო მკლავენო!
 უსწორავთ საქე, უსვით ნიჩფები;
 ვერ შეგვაჩერებს აწ ვერაფერი:
 ქარს გაატანეთ მწვავე იქვები!
 დაბრკოლებანი ნურაფრად გვიჩანს,
 სამშვიდობოსკენ ჩვენ ვიშზირებთ!
 მივალწვეთ - კარგი! არა და.. სადმე
 ისევ ამ გზაზე ჩავიძირებთ!..

ბ. ზომელთელი.



მესტჰირული.

(ბათუმისათვის)

მისაყვედურგ: „ბლიკვიამ
 ყურები ჩამოყარაო,
 რა დაემართა ნეტავი,
 რა ცოდვა შეეყარაო,
 რომ აღარ ბერავს იმ გუდას,

რაც ბერა, ის გვეკმარაო,
 თუ სენი რამე შეგებაჩვენსა
 წილში და გამოხარისა
 საყვედურს შეწვეული ვარ,
 მსმენია წარამარაო,
 მარა ვაბირებ ვიტვირთო,
 თუ ღმერთი მომეხმარაო,
 ხანდახან პროტესტს ვუცხადებ,
 თუ ვინმემ შეიწყნარაო
 და ჩემი გულის გაბერვა
 კვირეში თითო კმარაო.
 მაშ ასე: ჩემო ქამანჩა,
 დაუკარ ჩქარა-ჩქარაო!
 თუმცა და ვაღაგვეკილა
 აქა იქ ვილაე, მარაო,
 ერთგულიც მოგვეხოვებო,
 მტერი იმდენიც არაო.
 და თუ უმართლოთ გვემდურის
 ჩვენ, ვინმე, მეტჩარაო,
 ასეც უქნია, ჯურღმულში
 თავდაღმა ვაღამხტარაო!
 მეგობრათ შემჩრჩეს ლატაკი,
 მშვიერი, წვივ დამწვარაო,
 ლუკმისა მძიებელი,
 მთხოვნელი კარდა კარაო.

დაუკარ ჩემო ქამანჩა,
 ვიტყვი აქ მცირე რამესო,
 ამდენმა უსამართლობამ
 სიცოცხლე მომიშხაპესო:
 ერთსა დავესწარ კრებასა,
 ვასაკვირს შე იმ ღამესო,
 საღ არჩევანი ზღებოდა,
 როს ეინი მოიქამესო.
 (სტვირს გავტებ თუ ცალ მხრობა
 მე აქა შემომწამესო!)

მოსამახურეს იწვევდენ,
 აქ მისთვის მოისკამესო
 და ოთხისა წილ ისინი,
 კინალამ ვაისამესო.

ღმერთმა მაშოროს ამათზე
 რომ ითქვას „მოიქთამესო“
 მხოლოთ და არჩევანებში
 მცირედი მოიხამესო.

დაუკარ ჩემო ქამანჩაე,
 თან-და-თან უკეთესიო!
 წამოდვა ვინმე ქაბუკი,
 ჩაგრულთ დარაჯი მწყემსიო,
 სიტყვები დააქებრაეკა
 ქარაგმით დანაკვესიო: (?)

— მოსამსახურის არჩევის
 არის ერთგვარი წესიო:
 ვამოცდა, აშბის ვაგება,
 რომელიც იყოს სქესიო,
 მარამ ეს წესი არ ვარგა,
 ძველზეა უძველესიო,
 გიხშიროთ გამჭრიახობა,
 ჩვენ, გრძნობის დანაღესიო,
 კჳუა ისარზე მახვილი,
 გონებით ვანაღესიო, —
 — წილის ყრით გამოვარჩიოთ
 იმათში უკეთესიო.
 დასხდენ და წილი უყარეს
 „საღდათურა“ ნომრებითა,

წამოგობის ქალადღებო
 იმათ, თითის გორებით
 მოაღირეს კოთხო ქუღი,
 შიგ ჩაყარეს ტორებითა,
 მეგრე აურ დაურიო
 ერთმა ხელის მორებითა.
 (ვიდექი და ვიცნოდი
 განზე და მოშორებითა!)
 ამოიღეს, ვით წესია
 ერთსა ერგო სწორებითა...
 უკეთესიც იგი იყო
 ორატორის ქორებითა.

ბლიკვაძე.



1876

მან ამა სოფელად ბეგრი იწვალა,
 (სახეც მრავალ ზღის გამოიცვალა,)
 შაგრამ ბედისგან მოძულეებული,
 პრესის სანაგვეს ვადაგდებული
 გარდიცვალა.
 მის აზრს ბუნდოვანს და მახინჯ სახეს,
 მლიქვენლურ კილოს, ზნეს განაზახებს,
 არც სული ქონდა, არც ხორცი წმინდა...
 მის სიკვდილიდან ვერ დაიხსნიდა
 ვერა რა ძალი.
 და აი, მკვდარსაც არ ასვენებენ,
 სასაფლაოსკენ მოასვენებენ,
 რომ მიიბარონ იქ შავ სამარეს
 (თუ აქ ვახერხნა, მოსწამლავს არეს
 იმის სიმყარულე.)

თან მისივეს ყველა ქირისუფალი...
 მწარეთ დასტორით სულყველას თვალში
 ან კი რა დარჩათ ამ უბედურებს,
 მათ გულის ტკივილს რო გაუკურნებს,
 სხვა სატრფიალურ?
 კი.

მ მ ს ტ მ ი რ უ ლ ი

(ფოთისათვის).
 ყური სმენად მაქვს, თვალები
 გარშემო საცქერელიათა,
 გონება დასაფასებლათ,
 სტერი კი, სამღერელოათ.
 რაც სიიფეა, სიცუდე,
 იმას ვავჰკილავ ხელიათ,

არ მიუვარს კაცის სიმრუდე,
მსურს ვიყო მართლის მცველათა.
ბრმას, ბრმობას ვუმხელ თამამად,
გულსა და მდაგველათა,
ღუშმანსა მუხანათობას
სინდისის ასაწველათა.
და ამ ჩემს ტკბილ-მწარ სიმღერას
გავსძახებ მინდორ-ველათა.

ვუმღერებ, დიხ ვუმღერებ
ნერგების ასაშლელათა
ფოთის დიდებულ უბრავეს,
მოვლენილს ჩვენდა მცველათა.

ღარიბებს ყურადღებას რო
მიაქცევს ერთობ ძნელათა,
სხვაფერ კი, მუდამ მზადაა
ტყავისა გასახდელათა.
ქუჩებსა აღარ უკეთებს
ბაზარში გასასვლელათა,
დარდი არა აქვს, რომ ხალხი
იღვრება ცხარე ცრემლათა.
ფარნებსაც აღარ იმეტებს
მიდამოს სანათელათა,
ნათეს ხომ სულ აღარ იძლევა
ლაშქებში ჩასახმელათა.

სამაგიეროთ თვის მსახურთ
ჯიბეს გაუშლის ქველათა,
კოწიას, ლუარსაბს, იონას,
უკრდეთ დასათვლელათა.
ბიქტორსაც კარგათ იკითხავს
(ყავს აფთიაქის მცველათა)
საჭირო დროზე იონას
და ნიკოს მისაშველათა...
და ან კი რა ჰქნას? მკითხველო
პასუხი მიგე ხელათა,

„კოციალიზმი“ რას გიზამს
თუ კუჭი გიჩინს მწველათა?
უნდა დასტოვო პირველი
(თუმც გიჩნდეს სასურველათა)
და გაეკიდო სხვა საქმეს
ქანქარის საშოვნელათა.
თუ გინდა პატივ-ღირსება
იპოვო ხელ-დახელათა,
თორემ ორ სკამზე მჯდომარე
წახდები უუქველათა.

ნესტორსაც იცნობ, ინეჩინის,
ჩემო მკითხველო მგონია,
კაცი სწავლით და ცოდნითა
ღიბასც მოსაწონია,
მაგრამ ფოთს ჩამოსვლისთანავე

სქლად შემოიკრა ქონია,
თან პირობები მუშებრს
უფსკრულში გააჩონია.
ნიკოს კალთაში თავსა დებს
(ხერხიც ხომ მოუგონია?)
ვერ მიაღწიოს მიზანსა,
არ მჯერა, არა მგონია.

აწ კი სტივის განზე გადავდებ
არ შემწვევს მეტი ღონია
გულა მერუტვის, ეკარგვის
ხმა ტკბილი გასაგონია.

ტლინკაძე.



გურული სცება.

დების მიწერ-მოწერა.

II

ძეირფასო და ფეცა!

„შენი წიგნი წაიკითხე,
რაც რომ ჩემთვის მოგეწერა,
წაფიკითხე გამეცინა
მიკივრს, რამ გამოგაშტერა?“

არ გეწყინოს გენაცვალე, გასაკუთვლათ კი
არა გწერ ისე შინაურულათ. ძრიელ მიკივრს ჩე-
მო დაია შენი უხედულობა ცოდ-ქმრობაზე. შენი
აზრით ცოდ-ქმრობას ჯვარისწერის მეტი აფერი
სდომებია, ოღონდ კი ჯვარისწერი ერთი ქალი
იყოს და ერთი კაცი, არა ჩემო დაია. მაგ აზრის
ბებეი იყო და ახლანდელ დროში მაგის თქმაი სირ-
ცხელია მაგ აზრს დღეში პურიშვეფი იცავს და
ჩვენ რომ ახალ-თაობის ქალებმა შემარჯენ დებუ-
ტატს მხარი დღეუპიროთ, ქე მევიჯაყებთ. შენ მწერ,
ქმარს რომ წაყობი, ერთად რომ იცხოვრებთ, ქე
შეგიყვარდება, ამიზა წინაწინ გაცნობა არაა საჭი-
როო. ცდები ჩემო დაია, ცდები. წარმევიდგინოთ
დაგიჯერე და შენებურა გავთხოვდი, ესე იგი პირ-
ველათ ვინც შემბთება, ან ვისაც შუამავალი მვი-
ყვანს, წაყვეე საყვარში და დევიწერე ჯვარი. გა-
ღიხდა ქორწილი, მიმიყვანა შინ, ერთ კვირეს ქე

ვართ ტკილიათ. მერე ან მე არ მომეწონა ქმრის ხასიათი და მიმართულდება, ან მას არ მოეწონა ჩემი, შეიქნა ერთი ჩხუბი და დავიდარბა, შეგვექნა მედიატორე ასარჩევი. კადვეჯკაი, თუ იმდენზე შეგნებული დარჩა, შედიატორეებში გამოწყევა, იქნება იმისანაი ნადირია, პოლიციაში გეიქცა და თავზე სტრაფნიკები დასასია. ხომ გამოიწვარდა მაშინ სიკაცსე? ამას იგი არ ჯობს, პაწი მეთიმინო, გეიხელო, გამეხიებო, გამეხიებო და ვისთანაც საუკუნოთ გინდა ცხოვრება შენც და მანაც ერთი-ერთან ნეთი კარგათ გეიცნო? შენ იწერები, თუ ვინმესთან გეიარე, თუ ვინმეს დიელაპარაკე, შეიჯაყებო, გეილანძღები. არა ჩემო დაია, არც ასეა საქმე, კაცი ქალის შქამელი არაა, თუ გლახათ არ უწევნე თავი, ვეფერს ვერ კარგებს და ვინცა რაცხას იტყვის, ვინცა რაცხას მოპროტავს და გაბაჟუტურებს, იმას თუ უყურე, კაი სეირია? მე ჩემი თავით ვიარები და თუ მოვეჯაყე, ჩემ თავს მოვეჯაყე, არე კაცს ჩემთან აფერი საქმე აქვარც იგი შემიძლია, ზოგაერთსავით ვინმეს სიმდიდრეს ან გვარიშვილობას დიეხარბო, მე ქმარი მინდა ამხანაგი, თვარა არც ფულზე და არც გვარზე ჯვარს არ ვიწერ. იმფერი კაცი მინდა, მე მისი მესმოდეს და მას ჩემი ეყურებოდეს, ამხანაგათ მივარჩედ და არა მონათ, თუ ვნახე ამფერ კაცს ქე წაყუბი და თვარა ქე ვაგდივარ ჩემდა. ჩემ თავს ჩემი ხელობით ყოლთვინ ვირჩენ, იგი დროი წვეიდა, რომ რავაც უნდოდენ, ისე ვადავავადებდენ. ახლა ჩვენც შევიგენით, რომ ჩვენც ადამიანები ვართ თანასწორი უფლებით. ასე ჩემო დაია, თუ შეშობა ჩემი მოსაწონი და მასაც მოვეწონე, კიდევ წაყუბი და ქორწინზეც დაგბატიებ და გვიყურე ორივემ რაფერ დავამეროთ ზიტარას:

მე ვინც მიყვარს და მომწონს
იმას ვენაცვალები,
ვინც არ მიყვარს, არ მომწონს
დაუღდება თვალები.

შენი ვერიქა.
პიტან.



ჩ ა მ ს მ ჩ ა მ ვ რ ი ლ ს .

წინ ნუ მიუძღვი უსამართლობაში, სიმართლეს მიჰყევ, ჩემო ძმობილო, შენ, ჩემი ოფლით ვასუქებული, მეტად ნუ მხარავ ჩემებრ შობილი!

ეგ ფუფუნება ჩემგან მიიღე, ჩემი ხელითვე ახვედი მაღლა.. მე დამრჩა მხოლოდ ძვალი და ტყავი და ტყავსაც მძირობ ბედშავსა ახლა? რათა, რისთვის მელავ მე უბრალოს? ხომ ჩემგანა ხარ ცხოვრებით მტკიცო, მე ვნახე და ვიფასე, მე გაფუფუნებ, უჩემოდ რახარ განა არ იცი?

ნუ თუ არ ფიქრობ, რომ მეცა შენებრ კაცი ვარ, კაცი, ადამიანი... შენ თუ დღისა მუცლით შობილხარ მაშ მე ვინ მშობდა? რიყე ქვიანი? რატომ არ ამბობ: ესეც ჩემსავით ხორციელია ეს ზავ დღიანი...

ეხლა მიგხვდი, თუ რისთვის მხარავ: შენ რომ სუფთა ხარ, მე ქუქუიანი!

ნუ თუ არ კი რომ შენი განძი ამავე ქუქუით შექმნილი არი? ქუქუი შობს ყოველ სისუფთავესა, ქუქუი სწმინდის სახსარი არი.

შენ მაღლა სდგებარ და მე კი დაბლა, მაგრამ მეც ველი ზე ანაღლებას, ძველი ცხოვრების პირველ დამზობას, იმის დარღვევას და განახლებას.

ა. განჯი-კარელი.

სასაცილო ამბები

1 შენდომა. ამ დღეებში, სათავად-აზნათრო ბანკის მახლობლათ ვილაღე უცნობი კაცი შეიპყრეს. ეჭვი მიეტანათ, რომ ის რაღაცას გაუბრუნდა და ემაღებოდა. ხანმოკლე გამოძიებამ სასაცილო ამბავი აღმოაჩინა. თურმე უცნობი, ბანი სე. სეირელი, მხოლოდ და მხოლოდ სამედიატორო სამართალს გაუბრუნდა და ემაღებოდა. ის მაშინვე განათვისულელეს.

2 შეცდომა. იმავე დღეს ავკალის ქუჩაზე დააკვეს ჰეორე საეკეო პირი. ის ცარიელ ოთახებს და უმთავრესად კი სარდაფებს ათვალიერებდა და ზეს აძლევდა. ეგონათ ამ ყმ.წვილის ნება დაურთველი კრების გამართვა უნდაო გამოძიებამ გამოარკვია, რომ უცნობი, ბანი შათირიშვილი, «ახანიატებდა» ყველა თავისუფალ ოთახს, რა არის სახალხო უნივერსიტეტის სექციამ წსრმოდგინა არ გამართოსო. ისიც მაშინვე განათვისულელეს.

გამოცანა ოსურბათისათვის.

(მიბეძა რაფ. ვოი თა, ი ა)

ეს რა ზგმირი? მოგვევლინა, საიდან და სადაური?

სქელ-კანა და მზრებ-ყვითელა, შუბლ კვიტა და უცნაური?

ვიცნობთ, ვიცნობთ მგ საბრალოს, სულ არ არის აქაური, ძველათ სხვან ბინადრობდა გმირი იყო ის განჯური.

მერმე ჩვენში ვადმოვრინდა ცემა იცის და მუნჯური, კარტს თამაშობს, ღვინოს ხუხავს, (არც ეყოფა ერთი ჭური!)

ეგ გმირი ხომ პედავოგობს, მოწაფეთა ტვინის მტერი, ყურს ავლევს და გვერდებს უხელოს მუშტი უჩანს მონადერი.

დახე, კლასში როგორ მარდათ, თითქო ტყეში, დანავარდობს, იგინება, ილანძლება, ქეიფობს და არას დარდობს.

აგერ, ხედავთ სტოლთან მჯდარისა? რას ბეჭუტურობ ნეტა ჩიტო: — პოლიციას ვენაცვალე, ამბობს, ყმაწვილები ულიტო.

უმანკო და ტურფანაზი სულ არ არის დასასჯელი, თუმცა სკოლას ურჩევნია საჯინობო, ან ბოსელი.

ავყო.

უყურო სიყვეათა ახსნა.

(ყვირილ-სათვის).

„კლიოპკა“ დგობს მუშების საყვარელი სიტყვა, (იგულისხმე მაღაზირი).

ბაჟუმის დანაჯება. მიემუშტკრივითა ფანი, ანუ გადასროლილი ხელთათმანი.

წისკიკლა — მატორია, კალატაზ-კვირიკაშვილის საწვალეხელ-საჯახირებელი მანქანა.

დანოსა. დეპოში ხმარებული მიწერ-მოწერა. სმქათხველო. „ზაკავაზიე-დროები“-ს საწყობი.

ბ-ნი რევაზაშვილა. კარტოტენიკთა ჩემპიონი. დეპო. „კრამოლინიკები“-ს გასაწმენდი დაწებულეზა.

გაზეთი. მუშათა „საფრთხობელა“.

წ. კ. გ. სახ. გნაყოფილება. დამშრალი მდი-

„სკუჩხაობა“. მოყალივთა საზამთრო სახმა რი სიტყვა. „უცაბედო“. სტრაენიკთა ვასამართლებელი საბუთი ფისიმე მოკვლის დროს.

საქარელი—მ.

მალიკაის მერიე წერილი

(სანუღმწიფოა დეშაში)

თქვენო მაღალ კურთხეზაე, თავიღის სისახლის დემაე ბატონო!

ეგერ იქით ქე გამოგზანე ერთი წერილი, მარა იგი ქე წითეყემლისკვერე. ახლა ერთს კილო ვშინჯავ, თუ გინდა აგიც ძალღის ყურყულსავით გამიაროს და მერე რაქანა, დაგაქრი ბაწარს. რაეა ყველა ჩვენ გაქვირებს ჯგვარი წერია, მარა რაცხა ერთი შუირის მინც ვავიკეთე რამე! აი საქმე, რა-შია ჩვენო ბატონო, ჩვენო გურიელო: შარშანის-წინ, კი გეიგონებდით, ჩვენში იყო ასვარიე-დასვარიე, თოფის ბგიალი ცეცხლის ბრიალი, კაცის ღრიალი, ქალის კივილი, ცხენის ქიხინი, ძროხის ბღავილი, ძაღლების ყევა, მამლის ყვილი. მა-შენ ერთი ქორისტეს ფეხის მქეპეული ვინცხა მიქიაშვილია იგი დავვიყენეს, მარა თქვენ დეშმანს იმისანი! დაყლიბა კათხასავით თვალეზი, შემოგვისია ცოფიან-ს შესუნული ზეკუცია, ძველი და ახალი ეღონიკები ერთათა ვადაგავშელქია ზურგზე. დედაე, გვეზედე და მორე გზობა არ მოგვაქირეს ბოჯიკაი კისერში?! „საკე, სკარო“ და დალაპარაკება არ გვაქალეს, ისე ზე წავაჯესეს ყველაყაი უთაფლო კასავით. ვაი დედაე, თურმე უკინდაში ქე შეუელანკას, ხორველათ გუშათა სტომაქში. ჰოდა ახლა ამას გეხვეწებით, აქნაი ვერ ვნახეთ, მარა იქინეი მინც კი იქნება მგონია რამე კალონი და თუ არ არის კალონის დამწერ-ლებს უთხარი შენი ჭირიმე: თქვენი გამოგზანილი კაცის შენაყლანკაი თქვენ უნდა იღეთ თქვა. რაეა, თუ სანდო არ იყო ზალოგს დავადებებდითქვა, ასე ყველაყაი ქე მიადებდა ფულს და ჩვენ ძვალ-ტყავიც აღარ შეგვჩენებათქვა.

მეორე იქინეი ჩვენებური ერობა ჩამევიღეს ეყება. გვაზავს პურტყულს არ უყუროთ და არც დიდხანს გააჩროთ, თვარა ჩვენ ვეღარ მოგვისტრობს.

მესამე კილო ჩააწერეთ კალონის ქახალღში რომ ოზრუფეთში მგელსავით ბიქები ასტროჩქაში არ დატიონ ამ ვაისის სახარჯოთ და მომავედავები არ წააქეცლონ.

მეოთხე, ამდენი ხანია ქვირე ვარ, კი გეკო-ღინებები. და კიდევ შევირთვიდი ვინმეს, მარა ამ ხუტების ჯგვარდაწერილი არ მინდა, რაცხა იგი

სარწმუნოების თავისუფლებათა მომასწავრით სულ-ზე, ერთი გამეფიჯგომო ამ სიბერის დროს და ვინ-ცხაზე, ახალი ფორმით გედღვიწწილო ჯგარი. ასე ბაბუეთა, ქუთით და აწყაი მშვიდობით.

თქვენი ამომრჩეველი ბერი ზალიკა შვილია-ნცი.

დ ე ბ ე მ ე ბ ი .

(საქართველოს სააგენტო)

ყვირილა, ს, საქარის გლეხებმა დაარსეს პროფესიონალური კავშირი „აყალ-მაყალი“. საქმე ჯერ ჩინებულათ მიდის. უკვე დამატერიეს თავ-პირი ხუთ-ექვს კაცს. იარაღები ყველა შვიძინეს, სჭირათ მხოლოდ ფეშაკის მათარხი.

ხაშური. ვინაიდან აქ აღარაიენ დარჩა მოსამებნი, კოტე გოგოლიძე სხვაგან გაიწვიეს.

თელავი. თელავს უკვე ხუთი საბილიარდო სახლი აქვს. ბანქოს (სათამაშო ქალაქია) ფასმა ძლიერ აიწია. ქალაქის თავს ყინვამ დაჭრა. მადაკარგი აქვს. გუშინ ჯამაგირის მისაღებათ გაისარჯა.

ბორჯომი. რიადნიკი მერტო ძლიერ გაჯავრებულია, რომ მზე ადგომას იგვიანებს და დაწოლას იჩქარის. ეს იმიტომ რომ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მისი მუშები ვეღარ ასწრებენ 20—25 ვაგონის დატოლ-დატვირთვას.

აბ. შა ბაზრის გამეგები ნავეებს იძენენ ქუჩის ტლაბოში საცუბავად. ეს ახალი საქმე დიდ ხარჯს ითხოვს, რის დასაფარავად გადასწყვიტეს დამამო-ბით ფანრები აღარ ანათაონ.

სურამი. გოგორიშვილმა სურამის კასხაში ქანქარი იმასქნა, ამიტომ ისიც იმასქნეს.

ფოთელის სიზმარი.

I

მშობიო, ილაჯ-გაწვეტილი დაბერუნდი სახლში. მთელი დღე ქუჩებში დაწაწალები, მაგრამ პურის ფულიც კი ვერ ვიშოვე. მშობიო დავწექ და მკვდარივით ჩაძვიინა.

—მეგობარო! ადგ, გამომეცე, ქალაქი უნდა დადეთვალიეროთ!—რას ვინამიდი, ავღმქ და გავყვე. ააა, დავუთლოვდილთ „ახალ-სოფელს“, დღეში ცოტა იმედ. მომეცა. ამ ტალახებში თრევა მოხუხრდება და თავს გამაჩნებებს მეთქი გავიფიქრე, მაგრა ბოროტი სული უფრო მზნდ მისჩანდა. მომიბრუნდა და მკითხა:

- ესენი ქალაქის მცხოვრებნი არიან?
- დიას ბატონო!—უშაპუბე მე.
- ქალაქი ბევრას ახლავინებს?
- რასაკვირველია ახლავინებს.
- მერმე შეძლება აქეთ, რომ იხადონ?
- აბა, რა მოგახსენოთ, არ ვიცი...
- არ იცი? მაშ გამომეცე.

თვალის დახამხამებაში ჩაედრეკეთ უნებოდან ერთ-ერთ სახლში, და, პირდაპირ გრძელ ქველბურქუცსაქმე და-ვეშოთ, იქვე ჩვენს გვერდით კელოსკეპ სალოს პატრონი იწვა, მეორე მხრით დიასახლისი და სამი პატარა ბაღლი, რომელთაც სხნის მავებათ ტომრის ნაწლავები ფეხათ, ბოროტმა სულმა კნაყოფილათ ჩაიკინა და თავისთვის წაიბუტებუა:

— საბრალონი!...

საინტერესოა გიცოდეს სად მიდის ეს ამითი გადახდილი ფულები, რა საქმეს მზარდება? სასწავლებლების შენობას? ქალაქის განაპირა ქუჩების გაშრობა-განათებას? თუ სხვა რამე საკველ-მოკველო მიზნს?

— რა სა ბაძანდებ ბატონო, მივეყვე მე, ეს ამითი ფული ქალაქის თვითმმართველობას სჭირდება ხარჯებათ.

— იცი რა ვითარაა... ესლა მე და შენ აქ დან პირ და პირ კლუბში გავზნდეთ, თქვენი ქალაქის ზედის გამგენი უფრო ხშირათ იქ იკრიბებიან. საქირთა ისინი ვნახათ

თვალის დახამხამებაში რიონის პირათ ამართულ კოშკს. თავზე გადავეყვით და ის იყო ხილიკოვკის პრესპეტრზე უნდა დაქვემდებლიყავით რომ ბოროტი სული მომიბრუნდა და მიიხრა:

— მეგობარო, სანამ კლუბში წავიდოდეთ საჭიროა ქალაქის თავი ვინახულათ.

— კეთილი, ვუპასუბე მე.

ერთი შეფიქრისხილიდით და უკვე სიო დაფაყრეთ და სარკმლის ბუქურტანიდნ შევცერთი ოთახში, სადაც ქალაქის მამა განისვენებდა. ოთახი მღიდრულათ იყო მოართული: აბრეშუმის ხალიჩებით მოვებული იატაკი, აბრეშუმისავე კედლის ნოხები, ზაფერ-გადაკრული ავაჩქილი და საგანგებოთ გაკეთებული მაზიდა ოთახს თვალწარმტაც სანახათ ხდიდა. მარცხნით, სუფთად გაგებულ ლოგანზე ღრმათ ჩაფიქრებულ იჯდა ნიკოლოზი, ერთ კუთხეში უჩინართ მიგზად-ლეთ რაოდენიმე ხნის შემდეგ კარი გაიღო და ფეხაყრფით შემობრძანდა ბ-ნი იასთარ მას მოპყვენ ბ-ნი ლუარსაბი და ნეტოტარა. ნიკოლოზი სტუმრების შესვლის თანავე ზეზე წამოდა, ყველას თითოფოთლი მიეხაზა და კვალად სავარძელში ჩაესვენა, ცოტა ხნის შემდეგ მანიონასაყენ იბრუნა პირი და მკითხა:

— იონ მიხაილოვიჩი? რითი უნდა გადავიხადოთ ის ფულები, რომელიც ამ ორიდღე წლის განმავლობაში დავი-ჩემს ქალაქს?

— არ ვიცი, მოწვეტილად უპასუბა იონმა. ფოთის ოდენი შეშოსავალი ბევრ მის მსაგეს ქალაქს არა აქვს, მაგრამ ჩვენ ვსაფიქროებთ გეგმისფერი შევიძინეთ და...

— ეს რომ ასეა მეც ვიცი (საშუალების გამონახვაზე გვეკითხები მხოლოდ.

— მიგვიბრ ბატონო, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ამ საშუალების გამონახვა საძნელოა, რა გინდა რომ ჰქნა?... „უჩასტები“ დ ვცილით? არ შევლის! ქალაქის საეპრო დუქნები დავეყილოთ? არ შევლის. ტყე გავყილოთ? ესეც არ მოხერხდება. ის ორი წლით გიკო დილის ასუბა დუმათ თქვენი სურვილის თანახმადა. ჩვენ რომ ჩამოხვებადით ეს ჩვენი მხრით უპირისპიობა იქნება და არც დუმა დაგთანხმდება. ქართველ ბურჟუას გალაჩობების მომხრე არც თქვენ ხართ თუ არ ცდებით. მაშ სხვა რა წყარო გვექვს?

— მუშებზე გამაგირი დაუკლოთ— არამიტხესაით წა-
რობას ნესტობა და თვალი ნიკოლოზს მიაპყრო, რომ მის
სახეზე ამოვიცოხა, ესიათონ თუ უარა ეს წინადადება.

— კეთილი! თუკა დიდ სუმს არ შეადგენს, მარა ამ
კრიტიკულ მომენტში ესეც კარგია, დაუტელით, კვერი დაუ-
კრა ნიკოლოზ იაკობის ძემ.

მე სულ-განაზული ვუბღმედი ყურს, თუ რას იტყუა
ლუარსადი, მაგრამ ბოროტმა სულმა მომწყვიტა ამ სანახაო-
ბას და გამოიტყა

ვლენის სისწრაფით გავექანეთ ხილვადის პროსპექტზე და
პირდაპირ კლუბთან დავაყარეთ სილა. ტანისამოსი უგვისწო-
რეთ, უღდაშები კონტად გადავიგრძინეთ და ნელი ნაბიჯით
შეგდით ზოგ. წეღისთანავე ათაოზ მუჭრი გარდვიხადეთ
ჭირა, წემდვ ერთ კუთხეში სკამებზე დაესხდეთ და მოთა-
მაშუთ დავეწყეთ თვალთვლება.

მთელი ფოთის არსიტოკარბა აქ იყო თავმოყრილი
მთ შორის ანისიტოკარბები ბრანდებოდენ, რომელთაც
კლუბში პირველი ადგილი უჭირავთ.

— აივ სტო რუბლი! გისმა დარბაზის ერთი მბრ-
დან. ბოროტმა სულმა წამსვე იქით მიაქცია თავისი ყურად-
ღება.

— ვინ არის ეს არსი? იკითხა მან.
— ეს გახლავთ პარტიკული ბუხგალტერი ქალაქისა,
რომლის ხელშია მთელი ქალაქის შემოსავალ-გაავლის ანგა-
როშები.

— ჰმ! სწორეთ... რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ
უცებ მეორე მხრიდან გაიშა.

— აივ პილისიატ!
— ეს ვილა?
— ეს გახლავთ ცოლი წარჩინებული პირისა.

გრძნეულმა სულმა მა აც მიაპყრა თავის მაცდური თვა-
ლები.

— „ბანკ!“ გაისმა მესამე მხარეს და გრძნეულმა სულმაც
იქითვე მიაქცია თავისი ყურადღება. ცოტა ხნის შემდეგ ის
ისევ მოიბრუნდა და გაოცებულ კოლოთი წარმოთქვა:

— აი... ისიც... ჰო, იმის თქმა მინდოდა... ქალაქის
თვითმართველობაში... არაჰ.

— დიხ ბატროლა, ვუბახუბე მე.

ბოროტმა სულმა ამიოლი უფის წიგნი, ვაშლა და
რისღაც წერა დაიწყო, რომ უცებ იქეთ-აქიდან ისევ გაისმა.

— ატკოთ!
— აივ სტო პილისიატ!

— ბანკ!..
დარბაზში მუდღობა დაირღვა, მოთამაშენი აირ-ლი-
რიენ, ზოგიერთებმა, რომელთაც ქანკაი შემოაყლდთ, ხე
ტილო დაიწყეს.

ბოროტი სული მივდა კუთხეში და ნელი ხმით დაი-
წყა ღლინი:

„ხალხი მწუხარე, ტანჯული
ბედისგან განამწარა,
მმართველი ქუბ-ბედნიერი
მელამ გულგანახარია.

ხალხი უმწყო, უღატაკი
სიმშლით კუბ-დამწვარია,
მმართველი მისი ნიოფლით
მეყოფილ-გამძლარია.

ხალხი მტრიალე, მყენესარე

სიკოსულ-შენახარია
მმართველი სალხინ-ქეფით
კლუბებში დანახარია

მე შიშით ვკანკალებდი, არ ვიცოდი ვის ეხლდოდა და
სდ დავდიოდი, რას ჩავდიოდი. მეშინოდა, ეს სახიფათო
მოგზაურობა არ გავყოფო ფოთის მამებს, მათ კუბებს და ქა-
ლაქიდან არ გავფევეებდი. მაგრამ ჩემი ტანჯვა ღიღინას არ
გაგძლელებდა. ბოროტმა სულმა ერთხელ კიდევ მიმოაღო
ირველივე თვალში. შემდეგ გამოიწვიოდა ხელი და მითხრა:
— „შვილობით დღისწორამდისო და გამშორდა. უცებ გამომე-
ღვიძა და დავეწყენდი, რომ ყველა ეს მხოლოდ სიზმარი
იყო.

ტლინკაძე.

წირილები რედაქციის მიხარით.

ბატრო რედაქტორო! თქვენი ჟურნალის „მათარ-
სი და საღებურის“ 23 ნომერში მოთავსებულია „მეს-
ტერული“ (უძღნეი ფოთალებს) ვინმე „ტლინკაძის“
სადაც მას ჩემს შესახებ შეუფერებელი სისულაღების
თვის მიუხედავად. მე აქ არ გამოფულეები იმის განხილ-
ვას, თუ რამდენად დამამსახურებია და „ნოარის“ მწე-
ლის სახელი. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იმ „ტლინ-
კაძისსაგან“ ვგძნობ თავს შეურაცხყოფილად და ამიტო-
მად, თქვენზე ჟურნალის საშუალებით, ვიწვევ მას საშე-
დატორო საშარსაში, სადა, ვფიქრობ, მოაქცემა სა-
შუალებ ცხად ვფო ჩემი სისმართლე.

ვადს ვინაშეც არ ვგორეს, ამ წერილის გა-
მომცხადებდნ. საშეუ კი უთუფო ფოთში უნდა გაირჩეს.
როც ის ბატონებულე ჩემი მდამდევლი იხებებს თან-
ხმობას, მეც დაჯასხელებ ჩემს მხრიდან ორს შედატო-
რეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები ამ
საქციელს შესაყევი მასხეში, შესაყერის გზით გაგსტე.
ერმალო ჯაველიძე.

თქვენ ბატონებულე ჟურნალის მეტამეტე ნომერში
იყო მოთავსებული წერილი ჩაქვიდან „დარბაზის“ ფსევ-
დონიშით. ბ. დარბაზს ითიო ოროლა მათარსით ვეე-
დას, დანაშუადს და უდანაშუადს, ზურგნი აგვიწვა. როცა
მე ბ. დარბაზს საშედატოროს საშარსაში გამოფულე, ის
მჭერმეტყველურათ სდუმს. მე კი ნანდობ-მეტობრები მი-
საყვედურებენ, რატომ „დარბაზის“ წინააღმდეგ არავითარ
სომეხში არ მიდი. ზოგი საშემს მიფურქუნასაც მწე-
მაბენ. ამისათვის ვაწვევ ბ. დარბაზს ხელ-შეორეთ საშე-
დატორო საშარსაში, სადაც ბ. დარბაზს უნდა დამიტ-
კიცოს ჩემზე მათარსის საჭრობაზე, წინააღმდეგ შემთხვე-
ვაში უფლებას ვიტოვებ მას სხეობარევათ და გონებო-
ვათ დარბაზ და ცაღის მწამებელი უწილო.

თქვენი პარტიის მცემელი გიორგი ცომაია.

ბ. რედაქტორო! თქვენი რედაქტორი „მათარსის“
№ 23-ში „საქართველოს საგეტრო“-ს განყოფილებაში

მთავრებულა ქონება დიდი ჯიხაშის სამრეკლო სკოლის შესახებ. ეს ცნობა შე შექება.

შე სკოლიდან მიმანია, კლავიანო და დრუმანტელა ქრთიკარებმა შეათო არ გაბეღან ჩხსვა შეეშოწმებულ ფაქტის და მით რედაქცია შედგამაში რ შეიქვანონ, და რომ ჩვენს ახლად ფეხ ად მულ შეთიხეულ სხვაგადოებას უწინადაცსეთების კითხვის უფლებივე სურვილი არ დაუკარგონ და ამისთან ერთად ჩემი სამართლებაც დადატინო, ვიწვევ სამედატორთა სამართალა ადინშულ მიამბეს თანაც ჩემი მხრეც შედატორულ ვასახლებ მას. ნ. დუ—ქს და ექიმ ე. ბ. ლასპირიძეს. ვაძლეკ ვადას რ დღეს. და თუ მართლა ბინი მთამზე დაქირავებულა კლავიანო არ ბრანადება ნუგებობის და მისი ამქ—დათა იმედას არ გაქრება ჩემ მიერ დახიშულ სამედატორთა სსამართლს.

მასწ. პ. დევიძე.

პროპინცია.

სამტრედია. სანიტარული კომისიის ერთ-ერთ წევრს პურის ქემის დროს ყელში ჩხირი გაეკეტა და კინალა დაიხარო. მაშინვე გამოიწერეს ქუთაისიდან ერთი მომნიჭებული წერილი, რომელმაც ჩხირი ამოაკალა ყელიდან და ქვეყნის კირისუფალი სიკვდილს ვადაარჩინა. ამაზე დაინიშნა გამოძიება, რომელმაც შეამოწმა პურები და შიგ ათასგვარი მახრჩობელი ნივთიერებანი აღმოაჩინა: ზოგში კენჭები, ზოგში მატლები, ზოგში თავებები, ზოგში ლურსმნები და მრავალი სხვა ამკარები, ვერ აღმოაჩინეს მხოლოდ სანიტარული კომისიის დანარჩენი წევრებში და მით უმეტეს მათი თავმჯდომარე. ხმები დადის ისინი სადმე კომში ჩაეარდებოდენ, გამოცხებოდენ და ვინმე შეამელი პურთან ერთად ვადატაპავდაო ვაგითა.

დაბა აბაშა. საშინელი სიცივეები დაიწყო, მართალია ტყემლი მეორეჯერ დაიწვიდა, მაგრამ სამბეგროთ ადგილობრივ ფოსტის განყოფილებაში 200 გარალსი კინვაა. ამის გამო მოსამსახურეები დროზე ვეღარ ღებებიან და თუ ჩვეულებრივ დროს მიაღწევი დარაჯები თავისებურათ „ლოცვა-კურთხევით“ მოგიხსენებენ.

პრივტ-ქაშიკი.

აცანა. იქნების ფიქრობ, ეშმაკო აცანას არ ყავს ვეაშები, შენი მათრახის კინწორით დასატკობ-დასააშები? თუ ეს ასეა, შემცდარხარ მარადის უცლუნებელი, დროებით მამასახლისი გვიყავს, მხოო, საცუნებელი. მოინახულე, უთხარი, ნუ ცხარობს ეგრე, ძამია: „აქაქარებითა სოფელი არავის მოუქამია“.

თუ პროვიზორსაც ეწვევიან ჩხუბი მას უყვარს რომელსაც ძალიან ასიამოვნებ ჩვენს მივიწყებულ სოფელს. ქინჩის ნაცვლად იქნება ეფირი მოგაწოდოს და თუ დადალვ მითრახით მერწმუნე არ იქ ცოდოსა.

სლ.ვისონიშვილი.

ქოლაგი. ძველ გაღვივების ქუჩაზე კინალა დიდი უბედურობა დატრიალდა. ახალი, გამოუცდილი ქალაქის თავი, მოულოდნელთ და ღრმათ ჩვეულო ლაფში. დიდს ვი-ვაგლახით ამოიყვანეს. ამ საქმეში ბრალსა სდებენ ძველ თავს ქალაქისას, ვინაიდან ეს უმთავრესი ქუჩაა ქალაქისა გაღმა მხრის მცხოვრებლებმა ათასჯერ იხიბვეს მისი შეკვეთება. ძველი თავი კი ამის შესახებ ყურებდა არ აბანტურებდა. იმედი აქეთ, ამ ინციდენტის შემდეგ, ახალმა თავმა შეიკლება ღმერთს შეხედოს და ქუჩა შეაკეთოსო ვენახო.

ნანსი

ბორჯომი. დაიქნებით ამბობენ, თფილისის მთავარ სახელისნოებიდან ბინი აკორონი ბორჯომის დეპოში აპირებენ განსაკურნავად გაღმოსვლასო, ადგილობრივი მუშები თანდათან იგზენენ, რომ მათი გონებრივ-ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია ალკოგოლისზმის განვითარებაზე. ამ მიზნით განზრახულია გაათაროვონ ახლად დაარსებული „მხუხაეთა წრე“.

ესეამე კლასის ბუფეტში კარტის მოთამაშეთა ბიურო დაიხილა უმთავრეს წევრთა ვახიზნის გამო. სამეგეროთ ვასალსკიათ ვაფარაოვდა ეს დაწესებულება დანელიას სავაჭროში და მტრეველის სასაიდლოში.

რიმუსი.

მათრახის ფოსტა.

დაუჭეჭდავი მასალა რედაქციიდან არავის არ დაუბრუნდება.

ქუთაისი. ახალ ეშმაკს. ეშმაკი ახალი ყოფილხათ, მაგრამ მესტერეულის საგანი ერთობ ძველია, ჩვენს გახეთში ორჯერ იყო იმავე პირებზე თითქმის იგივე დაწერილი. არ დაიბეჭდება.


აბაშა. ალი ფენდის. იმ ეპართან, რომელიც გატყუებით, ნუ აიხვალთ და ნურც ჩვენ გავწუხებთ ასეთი წერილით.

სადმე. ა. ვაჩიას. „მე მსურს მხოლოდ სიტყვების საგანს ცხადთ თუ სიზმრათ მუდამ გეტრფოდ, შენ სხვა გყვარდეს, მით იამავე მე ნუ გიყვარვარ გეზიხებოდე“.

ეს ლექსი რა სახესებით დაგვებეჭდა მაშინ ხომ მართლა შეუხებლადი თქვენს „აიკოს“?

ჯმსტაშინი. პოლისინეს ნათლულს. ამ დასაქვე მოზაანში რე თუ კარტის მტრე აღარაფერი იციან არ დაიბეჭდება.

სადმე. ორ-სოდელს. თქვენი ლექსი, მესამე ღუმის შესახებ, გადათარგმნეთ და გახეთ „ნაშ კრის“ მფელდტორე



479/390

არ-სკის გაუგზავნეთ. ყველა დეპუტატს ერთ გოდორში ის ათავსებს.

ბაძო. გნეგოსი „სოციალურს“ ლექსები უმჯობესია „დროებაში“ გზავნოთ. ჩვენი გაზეთი ასეთ ავტორებს მათრახის კუთხით უკლავდება.

ბათუმი. ბნელიძეს.

შეთის მწვერვლიდან დავცკერი

თბილისს არე მარესა,

მაოღებს მისი სიტურადე

შემეული ყოველ მხრესა.

თუ მართლა თფილისის არ-მარე უმეყული“ გრევე-ნათ, ცხადია ან იმ მთის მწვერვალზე ბნელოდა, სადაც თქვენ იდგით და ორი არშინით ხეით.

სურამი. კოკლს. ნერავე ვიცოდეთ ეს ლექსი ფებით ხომ არ დავწერიათ. რომ ასე საშინაოთ ვიკლავებ?

ფოთი. ბუნება სრულია საშინაოთ ვიკლავებ ამ ფსევ-დანიმისთვის ნება, რადგან უიმოლოც დასწრდით ასეთ მშვენიერ ლექსს. არ დაიბუქება.

ბათუმი. თებროშვილს არ დაიბუქებ.

საშური. გლის. ჩვენ სან. პაპინაშვილის წერილი იმისთვის ვერ დანბუქდით რომ პოლემიკა არ გვიწოდდა გა-ზეთში, რადგან არაწმუნებული ვიცავით თქვენ პასუხს გა-სცემდით. ახლა თუ თქვენც გსურთ სემარათლი, გაუგზავნეთ მას თქვენი რწმუნებული და სამეცე გათავდება. გადაწყვიტო-ლებას ჩვენ დავბუქდეთ.

1910 წლისთვის მიიღება ხელის მოწერა უთველ-პეიკეულ იუმორისტულ ჟურნალში



მათრახი და სალაპური

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიფანს აგვის-ტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

პრემიათ გაეგზავნება ახალი პრემიული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარ-მოები და სხვა. რედაქტორი ირვინაშვილი ასე სთავაზობს.

ფაჩი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ელირება 1 შ. მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუთილაზალოთ **ფეოფიანთან პირად** იმისაძლე. ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: პირველად 2 შ. 50 კ. დანარჩენი 2 შ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავე ფორმატით და იმავე ში-ნაარსით. რედაქტორი ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: ახანია, ბლაგოჰე, გახვის-გარეა, ეშაგი, გოლდეშარი, ზომბეთელი, თურდოს-ზარული, ასასანი, კეხტი, ლეხუშელი, მალაქაშელი, შატან, ტ. რამიშელი, რუხაძე, რუშუკელი, ტუქუშელი, ფან-ტეფა, ქუჩიკელი, შხანკადა და სხვანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 5 შ. თვიურად 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“
Василию Карамановичу Болквалдзе.